

JEL Classification: Q4, Q43, Q49

<https://doi.org/10.35945/gb.2020.09.024>

GEORGIA ELECTRICITY BALANCE DURING THE YEARS OF STATE INDEPENDENCE (1989-2019)

DAVID NARMANIA

Doctor of Economics, Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

d.narmania@gnerc.org

DEMUR CHOMAKHIDZE

Doctor of Economic Sciences, Professor

Georgian Technical University, Georgia

demurchomakhidze@yahoo.com

Abstract. The article analyzes the electricity balance of Georgia during the 30 years of independence (1989-2019). It is said to be in deficit throughout this period except 2010. The deficit was caused by the fact that during the analysis period all the components of the balance deteriorated, primarily electricity production. The latter was at a record low in 2005, when the annual deficit exceeded 1.2 billion kWh. The excess of electricity in the balance was conditioned by the record output in the HPPs as well. It is noteworthy that in recent years, electricity consumption is growing much faster than production. Due to this, in 2019 the maximum amount of deficit was almost 1.4 billion kWh. The paper sets out ideas for improving the situation.

KEYWORDS: ELECTRICITY BALANCE, ELECTRICITY GENERATION, ELECTRICITY CONSUMPTION, EXPORT, IMPORT.

For citation: Narmania D., Chomakhidze D. (2020). Georgia electricity balance during the years of state independence (1989-2019). *Globalization and Business, №9*, pp. 197-202 (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.024>

JEL Classification: Q4, Q43, Q49

<https://doi.org/10.35945/gb.2020.09.024>

საქართველოს ელექტრობალანსი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წლებში (1989–2019)

დავით ნარმანია

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
d.narmania@gnerc.org

დემურ ჩომახიძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
demurchomakhidze@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: ელექტრობალანსი, ელექტროენერჯის წარმოება, ელექტროენერჯის მოხმარება, მქსპორტი, იმპორტი.

ციტირებისთვის: ნარმანია დ., ჩომახიძე დ. (2020). საქართველოს ელექტრობალანსი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წლებში (1989–2019). *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №9, გვ. 197-202. <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.024>

ენერგეტიკა ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური განვითარების საფუძველია. იგი უდიდეს გავლენას ახდენს სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ფორმირებასა და წარმოების ეფექტიანობაზე. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ ნებისმიერი საწარმოო პროცესი მრეწველობის ყველა დარგში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფეროში დაკავშირებულია ენერჯის სულ უფრო მზარდი ოდენობით გამოყენებასთან, ხოლო შრომის ელექტრო და ენერგოაღჭურვილობა წარმოადგენს საზოგადოების სოციალური უკეთესობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ძირითად მატერიალურ საფუძველს.

ენერგეტიკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების დასახასიათებლად წარმატებით გამოიყენება ელექტრობალანსი. იგი საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების რაოდენობა და სტრუქტურა ელექტროტევადი დარგები. მოხმარების მიზნობრივი მიმართულებები, დავახასიათოთ რეგიონული ეკონომიკური კავშირები და ა.შ ელექტრობალანსის საფუძვლიანი ანალიზი, მისი წარმოებისა და მოხმარების ძირითად მიმართულებათა დადგენასა და ენერჯის უკეთ გამოყენების რეზერვების გამოვლენის აუცილებელი წინაპირობაა, იგი ხელს უწყობს ამ რესურსის წარმოებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის წარმატებით გადაწყვეტას.

ენერგეტიკის განვითარებას კი განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეკონომიკის მდგომარეობისათვის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ენერგეტიკული კრიზისი და ამ სფეროს მცირე შეფერხებაც კი მყისვე აუარესებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. უფრო მეტიც, ეს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მთლიანად მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებას.

ელექტროენერჯიამ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესსა და მთლიანად, კაცობრიობის ისტორიაში ნამდვილი გადატრიალება მოახდინა. არ დარჩენილა ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც ელექტროენერჯია არ მოხმარებოდეს. მისმა გამოყენებამ ყოველდღიური და საყოველთაო ხასიათი მიიღო. ჯერ კიდევ 2011 წელს მსოფლიოში ელექტროენერჯის წარმოებამ და მოხმარებამ მიაღწია 20407 მლრდ. კვტ-სთ-ს, ნაცვლად 15.0 მლრდ. კვტ.სთ-ისა 1900 წელს. ანუ 117 წლის განმავლობაში გაიზარდა 1360-ჯერ, მაგრამ ეს ზღვარი როდია. დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით მესამედი, ანუ 2.0 მილიარდი ადამიანი ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს ელექტროენერჯით. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში, სადაც ძირითადად დამთავრებულია ელექტრიფიკაციის პროცესი, 102 წლის განმავლობაში (1913-2015წწ.) ელექტროენერჯის გამომუშავება გაიზარდა 542-ჯერ.

რამდენადაც სასარგებლოა ელექტროენერჯის გამოყენების სფეროს გაფართოება, იმდენადვე საზიანო და

დამანგრეველიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მისი შემცირება. ეს ნათლად გამოჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირველ წლებში (1991-1995წწ.). ცნობილია, რომ საქართველოში 1990 წლიდან მოყოლებული ელექტროენერჯის წარმოება და მოხმარება მკვეთრად შემცირდა. 1994 წელს, ქვეყანაში წარმოებულ იქნა მხოლოდ 7 მლრდ. კვტ. სთ. ანუ 1989 წელს მიღწეული მაქსიმალური დონის 43%. ელექტროენერჯის წარმოების 1994 წლის დონე კი საქართველოში ჯერ კიდევ 1968 წელს - 26 წლის წინ აღინიშნა, ე.ი. ამ სფეროში ქვეყანამ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნით დაიხია უკან. უმთავრესად სწორედ ამან დასწია უკან ეკონომიკა 36 წლით, ხოლო ზოგიერთი მისი დარგი - ნახევარი საუკუნით და მეტად (იხ. ცხრილი 1).

ეს ფაქტი იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ რეცესიის პერიოდისათვის ნიშანდობლივია მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP)-ის უფრო მეტი შემცირება ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების შემცირებასთან შედარებით. რამდენადაც ეს კანონზომიერია, იგი ნათლად გვიჩვენებს ენერგეტიკის როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. მაშასადამე, ცხრილში მოტანილ მონაცემებში ასახულია ეკონომიკისა და ენერგეტიკის განვითარების დაუბალანსებლობის შედეგი და, შესაბამისად, ელექტროენერგეტიკის მნიშვნელობა ქვეყნისათვის. საბჭოთა წლებში ელექტროენერჯის წარმოების ზრდის ტემპი ჩამორჩებოდა ეკონომიკის განვითარების ტემპს და ამას გარკვეული ნეგატიური შედეგები მოჰქონდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. დამოუკიდებლობის პირველ წლებში კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ამ პერიოდში ელექტროენერჯის წარმოების ზრდის ტემპი კი არ მცირდებოდა, არამედ ეს მაჩვენებელი იკლებდა აბსოლუტურად, თანაც მაღალი ტემპით. შედეგებიც კატასტროფული იყო. უმთავრესად სწორედ ელექტროენერჯის წარმოების ერთი ერთეულით დაცემამ წარმოებული ეროვნული შემოსავალი 1.27 ერთეულით შეამცირა, მრეწველობის პროდუქცია - 1.38, სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1.88 და რკინიგზის ტრანსპორტის პროდუქცია - 2.08 ერთეულით.

ენერგეტიკის არასაკმარისი განვითარება, ცხადია, ნეგატიურად აისახა საქართველოს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზეც. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრების დონის მაჩვენებლები საქართველოში გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ენერგეტიკულად შედარებით უკეთ უზრუნველყოფილ პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებში. საქართველოში ყველა სახის შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 1994 წლის ბოლოს დაახლოებით 7-7.5 ამერიკული დოლარის ეკვივალენტურ თანხას შეადგენდა, რაც ოთხწევრიანი ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებული მინიმალური სამომხმარებლო კალათის - სიღარიბის ზღვრის ღირებულების 44% იყო. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ რუსეთში ანალოგიური მაჩვენებელი 163%-ს, ანუ თითქმის 4-ჯერ მეტს შეადგენდა. ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, საქართველოში ამ წელს მოსახლეობის 58% სრულად ვერ იხდიდა კომუნალური მომსახურების საფასურს, 72% არაფერს ხარჯავდა ჩასაცემლზე და 74% - გართობაზე. 1994 წელს საექსპლუატაციოდ არ ჩაბარებულა წარმოებრივი დანიშნულების არც ერთი ობიექტი. გართულდა დემოგრაფიული ვითარებაც. მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობების გამო, ოფიციალური მონაცემებით, ამ წელს საქართველო დატოვა დაახლოებით 60 ათასმა კაცმა, ქვეყნიდან დროებით ან მუდმივად გასულთა ნახევარზე მეტი კი ქართველები იყვნენ.

სამწუხაროდ, ენერგეტიკის განვითარების შედარებითი ჩამორჩენის ტენდენცია გრძელდებოდა შემდგომ წლებშიც. 2000-2012 წლებში ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი 4.3-ჯერ გაიზარდა, ხოლო სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგების პროდუქცია - 2.5-ჯერ. GDP-ის ზრდა კი უზრუნველყოფილი იქნა იმპორტული ენერგორესურსების ხარჯზე. 2013 წელს GDP გაიზარდა 2.5%-ით, სამრეწველო პროდუქცია - 6.3%, მაშინ, როდესაც ელექტროენერჯის ზრდა 4.1%-ს შეადგენდა, ხოლო ნავთობისა და ნახშირის მოპოვება შემცირდა კიდევ. შემცირდა ენერგეტიკული პროდუქციის წარმოება ნატურალურ მაჩვენებლებში. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს შეშა, პროდუქცია, რომელსაც

ცხრილი 1. საქართველოში ელექტროენერჯის წარმოების შემცირებისა და ეკონომიკის დაქვეითების მაჩვენებლები 1994 წელს

მაჩვენებლები	1994 წლის დონე შეესაბამება	დაქვეითება 1994 წელთან შედარებით	კოეფიციენტი
ელექტროენერჯის წარმოება წარმოებული ეროვნული შემოსავალი	1968 წელს	26 წელი	1.0
მრეწველობის პროდუქცია	1961 წელს	33 წელი	1.27
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	1958 წელს	36 წელი	1.38
რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთის გაგზავნა	1945 წელს	49 წელი	2.08
საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება	1940 წელს	54 წელი	2.08
	1961 წელს	33 წელი	1.27

ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე სათბობად იყენებდნენ. ენერგეტიკულ საჭიროებას ჩვენი ქვეყანა მაშინ, შეძლებისდაგვარად, ძირითადად იმპორტული პროდუქციით იკმაყოფილებდა. 2007 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა ელექტროენერჯით მომარაგებაში. პირველად საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში. ამ წელს ქვეყნის ელექტრობალანსი უდფიციტო იყო. 2000-2014 წლებში შემოტანილი ენერგეტიკული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 1419 ათასი ტონა პირობითი სათბობიდან 3229.4 ათას ტონა პირობით სათბობამდე, ანუ 127.6%-ით. აღსანიშნავია, რომ ამ შემოტანილი ენერგორესურსების ხვედრითი წონა საქართველოს შესაბამის საერთო მოხმარებაში 83.1%-ს (2005წ.), ხოლო 2014 წელს 72.1%-ს შეადგენს ასეთ სიტუაციაში საგარეო ენერგეტიკული კავშირების გარეშე, ცხადია, საქართველოს ერთობ გაუჭირდებოდა.

იმპორტზე დამოკიდებულების პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგოპროდუქციის მომჭირნე მოხმარებას როგორც წარმოებაში, ისე ყოფაში, ცხადია, დაბალი ფასი ვერ იქნება მომჭირნე მოხმარების სტიმული, მაღალი ფასი კი მძიმე ტვირთად აწევბა მოსახლეობის ხელმოკლე ფენებს. ეს საკითხი განსაკუთრებულ მწვავედ დადგა ელექტროენერჯის მოხმარების სფეროში, სადაც ტარიფები ექვემდებარება დამოუკიდებელ რეგულირებას.

მე-2 ცხრილში მოცემულია საქართველოს ელექტრობალანსი დამოუკიდებლობის 30 წლიან (1989-2019) პერიოდში ხუთწლიან ჭრილში.

როგორც მე-2 ცხრილი გვიჩვენებს, დროის აღნიშნულ მონაკვეთში ელექტრობალანსის ყველა კომპონენტი შემცირდა, მათ შორის წარმოება 31%-ით, აქედან ჰესებში - 4,1%-ით, თესებში - 2,9-ჯერ, იმპორტი - 2,4-ჯერ, ექსპორტი - 7,5-ჯერ, ელექტროენერჯის მთლიანი ხარჯი (მოხმარება) - 31,6% და საბოლოოდ დეფიციტი - 36,2%. მართალია, იმპორტისა და დეფიციტის შემცირება დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მთლიანობაში ქვეყნის ელექტროუზრუნველყოფა საგრძნობლად გაუარესდა. კეძოდ, 2019

წელი 1989 წლის შემდეგ ყველაზე დეფიციტურია. ნაჩვენებ წლებში გამოორჩეულია 2010 წელი. ამ წელს რეკორდულად მაღალი იყო ელექტროენერჯის გამოუმუშავება ჰესებში და ექსპორტი, ხოლო დაბალი - თესებში და იმპორტი შედეგად მხოლოდ ამ წელს აღინიშნა ბალანსში სიჭარბე.

2019 წელს ელექტროენერჯის ჯამურ წარმოებაში 77,2% მოდიოდა ჰესებზე, 22,1% - თესებზე და 0,7% - ჰესზე. ამ წელს საჭირო გახდა 1626,5 მლნ კვტ. სთ-ის ქვეყნის გარედან შემოტანა, მათ შორის აზერბაიჯანიდან 67,8%-ის და რუსეთიდან 32,2 %-ის ოდენობით. მაშინ, როცა ექსპორტზე სულ გავიტანეთ მხოლოდ 243,4 მლნ კვტ.სთ, მათ შორის 46,3%-თურქეთში და დანარჩენი 53,7% მცირე რაოდენობით აზერბაიჯანსა და სომხეთში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში ელექტროენერჯის წარმოების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოხმარების ზრდის ტემპს: კერძოდ, 1995-2019 წლებში პირველი გაიზარდა 54,2%-ით, ხოლო მეორე 57%-ით. ეს ტენდენცია კი დროთა განმავლობაში სულ უფრო ნათლად იკვეთება. მაგალითად, 2015-2019 წარმოება გაიზარდა მხოლოდ 0,8%-ით, ხოლო მოხმარება 13,2%-ით.

ელექტრობალანსის დეფიციტის გარკვეულ შერბილებას ემსახურება ე.წ „ნეტო-აღრიცხვა“, რომელიც საქართველოში 2016 წლიდან ხორციელდება და წარმოადგენს მომხმარებლის საკუთრებაში არსებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების განვითარების შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, როცა მომხმარებელი აწარმოებს უფრო მეტ ენერჯის, ვიდრე მოიხმარს, მაშინ ენერგოკომპანია მომხმარებელს უნაზღაურებს ჭარბ კვტ.სთ-ებს. ანაზღაურება შეიძლება განხორციელდეს როგორც ნატურალურად, ისე ფინანსურად, თუმცა შემცირებული ტარიფით. უკვე 2018 წელს ნეტო-აღრიცხვის სიტემაში დაფიქსირდა 67 აბონენტი ჯამური სიმძლავრით 739,7 კვტ.

ელექტროენერჯის საერთო მოხმარებაში თანდათან იკვეთება ენერჯის არასაყოფაცხოვრებო დანიშნულებით მოხმარება. მაგალითად უკვე 2018 წელს თბილისში არა-

ცხრილი 2. საქართველოს ელექტრობალანსი 1989-2019 წლებში, მლნ. კვტ.სთ

ელექტრო ბალანსის კომპონენტები	1989	1995	2000	2005	2010	2015	2019	2019წ, %-ით 1989წ,-თან
წარმოება, სულ მათ შორის	15825,0	7082,0	7451,3	6880,8	9919,2	10832,5	10925,9	69,0
ჰესი	8787,0	6383,0	5952,1	6041,9	9263,3	8453,8	8428,4	95,9
თესი	7038,0	699,0	1499,2	838,9	655,9	2378,7	2420,2	34,3
ქესი	-	-	-	-	-	-	77,3	-
იმპორტი	3999,5	754,1	599,5	1399,0	222,1	699,3	1626,5	40,6
ექსპორტი	1839,2	-	204,6	120,0	1524,3	659,3	243,4	13,2
მოხმარება, სულ (ხარჯი)	17985,3	7836,1	7846,2	8159,8	8617,0	10871,9	12309,0	68,4
ბალანსი (+;-)	-2160,3	-754,1	-394,9	-1279,0	1302,2	-39,4	-1383,1	63,9

საყოფაცხოვრებო დანიშნულებით ელექტროენერჯის მოხმარებამ ჯამურ მოხმარებაში 65,4% შეადგინა, მაშინ, როცა საყოფაცხოვრებო დანიშნულებით ეს მაჩვენებელი 35,5% იყო.

ბოლო წლებში საქართველოში ჰესების მშენებლობის „ბუშია“, მაგრამ უპირატესობად შენდება მცირე ჰესები. თუმცა ამ პერიოდში ჰესების ჯამური გამომუშავება შემცირდა კიდევ 0,4%-ით. რაოდენობრივად კი მცირე ჰესების რაოდენობა გაიზარდა 16 ერთეულით (51-დან 67-მდე), ხოლო მცირე ჰესების წილი ჰესების ჯამურ გამომუშავებაში მხოლოდ 1,7 პროცენტული პუნქტით, (6,1%-დან 7,8%-მდე) გაიზარდა. 51-მა მცირე ჰესმა სულ წლის განმავლობაში გამოიმუშავა 662,8 მლნ კვტ.სთ, მაშინ, როცა ერთ-ერთმა სეზონურმა ჰესმა (ვარციხეჰესმა) სიმძლავრის არასრული გამოყენებით (85%) გამოიმუშავა 727,3 მლნ კვტ.სთ, ანუ თითქმის 10%-ით მეტი. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მისი ტარიფი გაცილებით დაბალია, ვიდრე მეორე ჰესებისა. ზემოთნათქვამი იმაზე მიუთითებს, რომ ელექტროენერჯის ასეთი მზარდი მოხმარების პირობებში მართო მცირე ჰესების ხარჯზე ფონს ვერ გავალთ. საჭიროა ამასთან აშენდეს საშუალო და დიდი ჰესები, მათ შორის უნდა განხორციელდეს ის პროექტებიც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით წინა წლებში შეჩერდა. ამას მოითხოვს ახლანდელი და სამომავლო ელექტრობალანსის არსებული გამოწვევები. ჰიდროენერგომშენებლობაში მთავარ გამოწვევად კი ეკოლოგიური საკითხები რჩება.

ცხადია, ზემოთ განხილული ბალანსები წარმოადგენს ანგარიშგებით ხილულ ბალანსს, სადაც ნაჩვენებია ენერჯის წარმოებასა და მოხმარებას შორის ფაქტობრივი სხვაობა. ანგარიშგებითი ელექტრობალანსი სიმძლავრისა და ელექტროენერჯის მოთხოვნილებას აღრიცხავს ელექტროფიკაციის მიღწეული დონისა და ელექტროენერჯის მოხმარების არსებულ ტექნიკურ საშუალებათა შესაბამისად. ამასთან, იგი სრულებით არ უწევს ანგარიშს იმას, თუ რამდენად პასუხობს იგი ეკონომიკის განვითარების ამოცანებს. იგივე ითქმის ენერჯის სისტემის სიმძლავრის ბალანსზედაც. აქედან ცხადია, რომ მართო ამ ბალანსების მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ ელექტროენერჯით ქვეყნის ნამდვილ საჭიროებათა დაკმაყოფილების ხარისხზე. ამიტომაც მოტანილ ცხრილებში ასახული ენერჯის დეფიციტი ვერაფერს გვეუბნება ეკონომიკის რყევებზე, რომელთაც იწვევს აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების ხელშეწყობად შენგდება, ელექტროენერგეტიკული ბაზის ჩამორჩენის გამო.

ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარული დეფიციტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ელექტროენერჯის იმ რაოდენობას, რომელიც ფაქტიურად წარმოებული ელექტროენერჯის ზევით უნდა გამოიმუშავებულიყო მეურნეობის შიგნით აუცილებელი პროპორციების დაცვისა და მისი მთელი ქვეყნის ეკონომიკის მიმართ პროპორციულად განვითარების უზრუნველსაყოფად. ასეთივე ორი სახის დეფიციტი უნდა გავარჩიოთ ელექტრო-

სისტემის სიმძლავრის ბალანსშიც. ცხადია, ფარული დეფიციტი ბალანსში თავისი რაოდენობრივი მნიშვნელობით ასახავს ელექტროენერგეტიკის განვითარების ფაქტობრივად მიღწეულ და ოპტიმალურ საჭირო დონეთა სხვაობას. ცარული დეფიციტის რეალური ცოდნა საგრძნობლად გადავიღებდა ელექტროენერგეტიკული ბაზის არსებული მდგომარეობის ანალიზს და ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღწევის ღონისძიების შემუშავებას.

საქართველოს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებით საჭიროა ეფექტიანი ღონისძიებები გატარდეს ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებისათვის. ამისათვის კი აუცილებელია: 1. ბუნების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით რაციონალურად გამოვიყენოთ ტერიტორიაზე არსებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მთელი კომპლექსი - ჰიდროენერჯია, ქვანახშირი, ნავთობი და არატრადიციული წყაროები; 2. ჩამოყალიბდეს საქართველოს პირობებისათვის შესაფერისი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ოპტიმალური სტრუქტურა. სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, ენერგეტიკულ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა გათვალისწინებით, თავიანთი ადგილი უნდა მიეკუთვნოთ როგორც ჰიდრო, ისე თბოსიმძლავრეებს და ენერჯის სხვა ალტერნატიულ წყაროებს; 3. აუცილებელია რესპუბლიკის ენერგოუმრუნველყოფის საქმეში დიდი როლი შეასრულოს ამ რესურსების ეკონომიურმა და რაციონალურმა გამოყენებამ; 4. საქართველომ საიმედო და ხელსაყრელი საგარეო ენერგეტიკული კავშირები უნდა დაამყაროს მსოფლიოს მოწინავე, მათ შორის მეზობელ სახელმწიფოებთან.

დარგის მდგრადი განვითარების ინტერესები მოითხოვს რეგულირების მუდმივ სრულყოფას, მისი სტანდარტების გაუმჯობესებას საერთაშორისო რეკომენდაციებისა და დარგოვლი გამოცდილების გამოყენებით, მათ შორის სრულყოფილი სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავებას, მიწოდების საიმედოობის უზრუნველყოფას და ამ გზით ენერგეტიკის სექტორში მდგრადი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობას ინვესტიციების მოზიდვისა და სექტორის განვითარების მიზნით, კონკურენციის განვითარებას და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

ევროპულ ენერგეტიკულ მოდელზე გადასვლის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო ენერგეტიკულ თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანება 2017 წელს. ამ ფაქტით ჩვენს ქვეყანას დაეკისრა ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოება, რომელიც წარმატებით ხოციელდება. 2019 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო ახალი კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“. ბევრი სამუშაო ამ მხრივ მომავალში.

განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ენერგოდაზოგვის ფაქტორი. საქსპერტო გათვლებით ენერგოეფექტიანობის გამოუყენებელი ტექნოლოგიური პოტენციალი ქვეყნის მთლიანი ენერგომოხმარების დაახლოებით 20%-ის ტოლია.

ამდენად იგი შეიძლება თამამად ჩაითვალოს ახალ ენერგეტიკულ რესურსად.

საქართველოში კი ელექტროტევადობა, მართალია ბოლო წლებში მცირდება, მაგრამ მისი დონე ჯერ-ჯერობით მაინც არასახარბიელოა.

ჩვენი ქვეყნისათვის ენერგორესურსების დაზოგვის საკვანძო მიმართულებებია: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება ენერგორესურსების წარმოებისა და მოხმარების სფეროში; ეკონომიკის დარგობრივი, ტექნოლოგიური და ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფა; ენერჯის არატრადიციული (მზისა და ქარის ენერჯია; თერმული წყლები, ბიომასა, მეორადი ენერგორესურსები და სხვა) სახეობებისა და მცირე მდინარეთა ენერჯის გამოყენების გაფართოება, ენერგოდაზოგვაში სამეურნეო მენეჯმენტისა და მექანიზმის სრულყოფა.

ენერგეტიკის განვითარება, ცხადია, მნიშვნელოვან თანხებს საჭიროებს. ეს კი ხშირად ხდება დარგის განუვითარებლობის მიზეზი. თუმცა ჩატარებულმა სპეციალურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ ენერგეტიკის განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციების მოცულობას და ელექტროენერჯის დანაკლისით გამოწვეული ეროვნული შემოსავლების შესაძლო ზარალს, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი 5-ჯერ მეტია პირველზე. მაშასადამე, საქართველოსათვის ელექტროენერგეტიკის განვითარებისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებები 5-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ის ზარალი, რასაც ამ დარგის განუვითარებლობა გამოიწვევს.

ენერგეტიკის განვითარების სწორი დაგეგმვისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ დარგის თავისებურებები: პირველი – გარდა იმისა, რომ ელექტროენერჯის წარმოება და მოხმარება ერთმანეთს ემთხვევა დროში, ენერგეტიკა ეკონომიკის დარგთა შორის მაღალი ინტელექტუალური

შრომატევადობითა და კაპიტალტევადობით ხასიათდება; მეორე, დარგი მოითხოვს ინტენსიურ და უწყვეტ დაფინანსებას, რათა შეინარჩუნოს ფუნქციონირების უნარი და, იმავედროულად, მიადწიოს პროგრესს მაკროეკონომიკური გარემოს მოთხოვნების შესაბამისად; მესამე, სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ენერგეტიკას აკისრია მაღალი სოციალურ-ეკონომიკური პასუხისმგებლობა; მეოთხე, იგი როგორც ბუნებრივი მონოპოლიის ტიპური წარმომადგენელი, საჭიროებს სახელმწიფო რეგულირებას; მეხუთე, აუცილებელია მნიშვნელოვანი რაოდენობის დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა. ეს კი სხვა ობიექტური ფაქტორების (ეკოლოგია, სულ უფრო ძვირი ენერგორესურსების ათვისების აუცილებლობა და სხვ.) ერთობლივი გავლენის შედეგად კიდევ უფრო ზრდის დარგის კაპიტალტევადობას. შესაბამისად, მაღალია საინვესტიციო რისკი, აქ მენეჯერული ცოდნა შეუცვლელია.

ცნობილია, მენეჯმენტის როლი განსაკუთრებულია ადამიანთა ცხოვრებაში, მათ შორის ენერგეტიკაში. დადასტურებულია, რომ ქვეყნები ბუნებით არ არიან მდიდრები და ღარიბები. არსებობენ მხოლოდ კარგად ან ფეექტიანად მართული და ცუდად ან არაეფექტიანად მართული ქვეყნები. პირველ შემთხვევაში უზრუნველყოფილია ცხოვრების მაღალი დონე, ხოლო მეორე შემთხვევაში ქვეყნები არაეფექტიანი მმართველობის გამო ვერ აღწევენ შესაბამის შედეგებს.

დასასრულ აღვნიშნავთ მარტივ ჭეშმარიტებას, მართალია, საქართველოს ენერგოსისტემა იზოლირებული არ არის. იგი ჩართულია სხვა სისტემებთან და ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის საჭიროების შემთხვევაში ენერჯის ექსპორტი-იმპორტის სწორი მანევრირებისათვის, მაგრამ ეკონომიკურად უთუოდ გამართლებულია ის გარემოება, რომ საქართველომ ენერჯიაზე, პირველ რიგში, ელექტროენერჯიაზე მოთხოვნილება თავადვე დაიკმაყოფილოს საკუთარი წარმოებით.

ლიტერატურა/REFERENCES

- Chomakhidze, D. (2007). Energetic Balance of Georgia. Tbilisi. (In Georgian)
- Chomakhidze, D., Tskhakaia, Q. (2019). The “Tendencies” of formation of main parameters of Georgia electro-energetic balance. Globalization and Business, №7.
- Chomakhidze, D., Narmania, D. (2018). Ecological Challenges in the Development of Georgian Energetics. Globalization and Business, №5.
- Chomakhidze, D. Narmania, D. (2018). Synthetic Menegment of Energy and Ecology in Georgia, AACIT (American Association for Science and Technology).
- Geostat - Energy Balance of Georgia, 2013-2019.
- GNERC Annual Reports, 1998-2018.
- ESCO Annual Reports, www.esco.ge